საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2789/01
22/03/2022

2789-01-2-202203221336

შპს „როუდ ტექნოლოჯის“

მის: ქობულეთი, თავისუფლების ქ. №94

ელ.ფოსტა: Rolandi.lazishvili@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №4157 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტში, თავისუფლების ქ. №94-ში, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან, დაახლოებით 180 მეტრის დაშორებით მდებარეობს შპს „მარდის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია სასათბურე მეურნეობა. შესაბამისად, როგორც სამინისტროს მიმდინარე წლის 10 თებერვლის №1261/01 წერილით გეცნობათ, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნულ სათბურზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი;
- დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს ნედლეულით მომარაგებისა (მათ შორის ცემენტის) და მზა პროდუქციის (ქვიშა, ღორღი, ბეტონი) საწარმოდან გატანისათვის შესასრულებელი სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული სამსაფეხურიანი სალექარის ტექნიკური პარამეტრები (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე და თითოეული კამერის მოცულობა);
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საწარმოსთვის საჭირო წყალაღება განხორციელდება მდინარე აჭყვადან, სატუმბი სადგურის მეშვეობით, შესაბამისად, როგორც სამინისტროს მიმდინარე წლის 10 თებერვლის №1261/01 წერილით გეცნობათ, დაზუსტებას საჭიროებს ტუმბოს წარმადობის შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს მოწყობის ეტაპზე დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ამორტიზებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი. დაზუსტებას საჭიროებს დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე